სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 თებერვალი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/24

„ბსუ-ში 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის „ბიზნესის ადმინისტრირების“, „ფინანსების“ და „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის N06-01/15 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 იანვრის N06-01/01 დადგენილების შესაბამისად, ბსუ-ს რექტორის N01-02/04, 20.01.2025წ. ბრძანებით გამოცხადდა 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის (გარე მობილობის) ვადები და განისაზღვრა შესაბამისი პროცედურები.

გარე მობილობის ფარგლებში სტუდენტთა მიღება გამოცხადდა ბსუ-ს აკადემიური საბჭოს N06-01/01,17.01.2025წ. დადგენილებით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ადგილებზე, მათ შორის ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის 10 ადგილზე და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 ადგილზე (აღნიშნული პროგრამების აკრედიტაციის ვადა იწურება 2025 წლის 01 მარტს).

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 4 თებერვლის სხდომის საოქმო გადაწყვეტილებით აკრედიტაცია მიენიჭა ბიზნესისა და ადმინისტრირების კლასტერში კლასიფიცირებულ პროგრამებს, მათ შორის, ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიან) და ,,საჯარო მმართველობის“ (180 კრედიტიან) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახალაკრედიტებული 180 კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედებას <u>გეგმავდა 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან</u>, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის N06-01/15 დადგენილებით მიზანშეწონილად ჩაითვალა გამოცხადებულიყო რიგგარეშე შიდა მობილობა „ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიანი), „ფინანსების“ (180 კრედიტიანი) და „საჯარო მმართველობის“ (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლის უფლების მოპოვების მიზნით.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს <u>2025 წლის 13 თებერვლის N06-01/15 დადგენილების საფუძველზე გამოიცა</u> „ბსუ-ში 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების და საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე <u>რიგგარეშე შიდა მობილობის ვადების</u> განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 13 თებერვლის

N01-02/23 ბრძანება, რომლითაც ბსუ-ს ,,ბიზნესის ადმინისტრირების“, ,,ფინანსების“ და ,,საჯარო მმართველობის“ 240-კრედიტიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა ჩაირიცხონ რიგგარეშე შიდა მობილობის ფარგლებში ახალაკრედიტებულ 180 კრედიტიან პროგრამებზე, მათ შორის: 1. ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე - 860 ადგილზე; 2. ,,ფინანსების“ საბაკალავრო პროგრამაზე - 70 ადგილზე; 3. ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო პროგრამაზე - 170 ადგილზე.

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 13 თებერვლის N01-02/23 ბრძანებით დადგენილ ვადებში განხორციელდა: რიგგარეშე შიდა მობილობის მსურველთა განცხადებების წარმოდგენა/რეგისტრაცია (14-20/02/2025წ.); კრედიტების აღიარების დასკვნების მომზადება-ატვირთვა (21-24/02/2025წ); სტუდენტთა თანხმობა/უარყოფის მიღება (25-26/02/2025წ) და 2025 წლის 27-28 თებერვლისათვის რიგგარეშე შიდა მობილობის შედეგად 180-კრედიტიან საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული ბსუ-ს სტუდენტები გამოვლინდა (მათ შორის <u>რჩება ვაკანტური ადგილები</u> და სტუდენტებს, რომლებმაც არ მიიღეს მონაწილეობა რიგგარეშე მობილობაში, უნდა შეუჩერდეთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი).

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის თანახმად (MES 6 25 0000221090, 28.02.2025), ბსუ-ში რიგგარეშე შიდა მობილობის პარალელურად მიმდინარეობდა ბსუ-ს რექტორის N01-02/04 (20.01.2025წ.) ბრძანებით გამოცხადებული გარე მობილობის პროცედურების ადმინისტრირება. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ და ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე გადმოსვლის (გარე მობილობის) რეკომენდაცია, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ გაიცა სულ 12 სტუდენტზე (,,ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე - 9 სტუდენტი, ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო პროგრამაზე - 3 სტუდენტი). ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ ბსუ-ში გადმოსვლის/მობილობის მსურველი სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარების და თავსებადობის დასკვნები ფაკულტეტების მიერ მომზადდა ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიან) და ,,საჯარო მმართველობის“ (180 კრედიტიან) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად და აღნიშნულ ქმედებებს საფუძვლად უდევს მიმდინარე წლის 1 მარტს „ბიზნესის ადმინისტრირების“ (240 კრედიტიან) და „საჯარო მმართველობის“ (240 კრედიტიან) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მოქმედების ვადის გასვლა.

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილია შუამდგომლობა ბსუ-ს ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ და ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით გარე მობილობის მსურველთა (რომლებიც გარე მობილობით ჩაირიცხნენ ბსუ-ს რექტორის N01-08/36 (26.02.2025) ბრძანებით, კერძოდ, N1 დანართის მე-2-10 გრაფები - ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები; 46-48-ე გრაფები - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების) მიერ გავლილი პროცედურები (წარმოდგენილი განაცხადები; კრედიტების აღიარების დასკვნები; თანხმობა კრედიტების აღიარების დასკვნებზე) ჩაითვალოს <u>,,ბიზნესის ადმინისტრირების“</u> (180 კრედიტიან) და <u>,,საჯარო მმართველობის“</u> (180 კრედიტიან) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე შიდა მობილობის ადმინისტრირების ფარგლებში განხორციელებულად და გამოიცეს ბსუ-ს რექტორის

ბრძანება ამ სტუდენტების რიგგარეშე შიდა მობილობით 180 კრედიტიან პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 იანვრის N06-01/01 დადგენილების (ცვლილება N06-01/20, 13.02.2025წ. დადგენილებით), ,,2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის (გარე მობილობის) ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 20 იანვრის N01-02/04 ბრძანების, ,,ბსუ-ში 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების და საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 13 თებერვლის N01-02/23 ბრძანების, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (MES 6 25 000022109, 28.02.20250) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ში 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ,,ბიზნესის ადმინისტრირების“, ,,ფინანსების“ და ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე რიგგარეშე შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის N06-01/15 დადგენილებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, დადგენილების მე-2 პუნქტის შემდეგ **დაემატოს შემდეგი შინაარსის 2[1] პუნქტი:**

,,2[1]. 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გამოცხადებული მობილობის ფარგლებში, ბსუ-ს ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ და ,,საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე **ჩარიცხვის მიზნით, გარე მობილობის მსურველთა** (რომლებიც გარე მობილობით ჩაირიცხნენ ბსუ-ს რექტორის N01-08/36, 26.02.2025 ბრძანებით, კერძოდ, N1 დანართის მე-2-10 გრაფებ ი- ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები; 46-48-ე გრაფები - საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები) **მიერ გავლილი პროცედურები** (წარმოდგენილი განაცხადები; კრედიტების აღიარების დასკვნები; თანხმობა კრედიტების აღიარების დასკვნებზე) **ჩაითვალოს** ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიან) და ,,საჯარო მმართველობის“ (180 კრედიტიან) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე **ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 13 თებერვლის N01-02/23 ბრძანებით გამოცხადებული** რიგგარეშე შიდა მობილობის ადმინისტრირების ფარგლებში განხორციელებულად და **გამოიცეს ბსუ-ს რექტორის ბრძანება** ამ სტუდენტების რიგგარეშე შიდა მობილობით ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ (180 კრედიტიან) და ,,საჯარო მმართველობის“ (180 კრედიტიან) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის თაობაზე.“.

2. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და რექტორის მოადგილემ (მ. ხალვაში).

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს (მ. ხალვაში), ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**